ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1528381

ნომერი: AR1254487

თარიღი : 30.09.2014

გაცემის თარიღი : 22.10.2014

გაცნობის თარიღი : 22.10.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალმასიანის N 31, ბერბუკის N10 , (ნაკვეთი N38/13) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ჩანტლაძე პ/ნ 01008019357
- თბილისი ი.აბაშიძის ქ.#14, მე-3 სადარბაზო, მე-7 სართული, ბინა 54ა

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1254487 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.13.038.014) საზოგადოებრივი სივრცის განსაზღვრასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ზემოაშნიშნულ მიწის ნაკვეთზე #AR1119881 (03.27.2013წლის) განაცხადის საფუძველზე, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხა კომისიის 2013 წლის 3 აპრილის სხდომის (ოქმი #13) რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამსახურის მიერ #624827 (04.16.2013წლის) გადაწყვეტილებით მომზადებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით. აქედან გამომდინარე ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს, ზემოაღნიშნულ სხდომაზე წარმოდგენილი ესკიზური პროექტის გაბარიტების გათვალისწინებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.